საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 3 23 0001409612

20/10/2023

სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი" მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის „ძიძა - ბავშვის მოვლა" განხორციელების უფლების მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი'' მიერ, 2023 წლის 04 ოქტომბერს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი), ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) წარმოდგენილ იქნა განაცხადი (განაცხადის ID 01792) პროფესიული მომზადების პროგრამის „ძიძა - ბავშვის მოვლა" განხორციელების უფლების მოპოვების თაობაზე, ასევე, პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისთვის განსაზღვრული საფასურის გადახდის ქვითარი.

სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი'' მიერ 2023 წლის 18 ოქტომბერს მოთხოვნილ იქნა პროფესიული მომზადების პროგრამის „ძიძა - ბავშვის მოვლა" განხორციელების უფლების მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2023 წლის 19 ოქტომბრის №1400156 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯში ,,ფაზისი'' (ს/კ: 215101716) „ძიძა-ბავშვის მოვლა“ პროფესიული მომზადების პროგრამის (განაცხადის ID 01792) განხორციელების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით.
2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ